შინაური საქმეები

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

№ 27.

ᲙᲕᲘᲠᲐ, ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 18, 1909 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.
„ ნახევარი წლით — — $2^1/_2$ მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲛᲣᲗᲐᲘᲡᲘ „ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ“ რედაქციი

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: წიგნი წიგნთა; ქართველებისადმი—რამპოლლასი; საფუძვლიანი ხმები დასავლეთ ევროპაში კომფესიურ სკოლის და სკოლაში სარწმუნოების დასაცავად; მეცამეტე საუკუნის ხელნაწერ კონდაკების განხილვის შედეგი—რამპოლლასი; ორიოდე სიტყვა ჩვენ გაძოფენაზე—ბოსლეველისა; მარტვილი (ლექსი) რ. საჯავახოელისა; მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავობას და საიქიო ცხოვრების არსებობას—სანმანიანისა; კვირიდამ კვირობამდე.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ₰ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

დარჩენ. №№ ახალი ხელის მომწ. დაეთ. 1 მ. ₰ 50 კ.

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ

ᲙᲚᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡᲐ

თანახმად უწ. სინოდის ნაჩვენებ ნიმუშისა.

ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ

ᲘᲛᲔᲠᲔᲗ. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛ.-ᲒᲐᲜᲗ. „ᲫᲛᲝᲑᲘᲡ“

ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ

ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩაზე, ს. კირიშჩევის სახლში (გუბერნატ. კანც. ქვეშ).

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲬᲘᲒᲜᲗᲐ*).

(სვეტლოვიდან).

თანამედროვე ფრანცუული რაციონალიზმის წარმომოგენელი, ცნობილი ისტორიკოსი რელიგიისა ალბერტ რეგეილლი სტატიაში რომელიც მოთავსებულია Revue Les Deut monds 1864 წ. მოგვითხრობს: „ერთხელ საზოგოოებაში აღიძრა საკითხი შესახებ იმისა, თუ რომელს წიგნს აირჩევდა თვითეული დამსწრეთაგანი, რომ მისთვის მიესაჯნათ სიკვდილამდე პატიმრობა და ნება მიეცათ კამერაში მხოლოდ რომელიმე წიგნის შეტანისა, აქ იყვნენ კათოლიკეები, პროტესტანტები, ურწმუნო ფილოსოფოსები, მატერიალისტებიც კი; მაგრამ ყველა უყოყმანოდ შეთანხმდა ერთზე, რომ შეიძლებოდა მხოლოო ბიბლიის არჩევა“.

ერთ ერთ თვალსაჩინო წინამორბედდ თანამედროვე ინდივიდუალიზმისა ლიტერატურაში მისი უკიდურესი ათეიზმის ფორმებით, დემონიზმისა ანუ ღვთის წინააღმდეგ ბრძოლისა, უეჭველად უნდა ჩაითვალოს ბაირონი, მაგრამ მას არ შეიძლება ვუწოდოთ ურწმუნო განუსჯელად. ბაირონის თხუზულებებმა, რომლებიც სავსე არიან ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრებით, გამოხატეს მისი ცხოვრება და პირადობა, სავსე წინააღმდეგობით: მოუფიქრებელ აზრებთან სარწმუნოების შესახებ, ხანდახან გმობასთან და ურწმუნობასთან ბაირონში მშვიდობიანად თავსდებოდა უწრფელესი სარწმუნოებრივი მხურვალეობა და [illegible]

*) იხ. „შინ. საქ.“ № 26.

[illegible] ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საზრისი, რომლებიც გამოიხატენ პოეტურ ფორმით სარწმუნოებრივ მხრით მშვენიერ ლექსებში. **ბაირონს** უყვარდა ბიბლია და არ იშორებდა მას მოგზაურობის დროს; ის ხშირად იყო ხოლმე მისთვის პოეტურ აღფრთოვანების წყაროდ. პოეტის სიკვდილის შემდეგ ბიბლიაში იპოვეს პატარა ნაპერი ქაღალდისა შემდეგი მისგან დაწერილი წარწერით: „ამ უწმიდესს წიგნში არის საიდუმლო ყველა საიდუმლოთა. ბედნიერნი არიან ისინი, ვისაც ღმერთმა მიმადლა ამ წიგნის სიტყვათა სმენა, წაკითხვა და ლოცვითი ლმობიერებით გამეორება და მოკრძალებით შეთვისება მათი! ბედნიერნი არიან ისინი, ვისაც შეუძლიანთ გაუღონ კარი ღვთის სიტყვას და იარონ მისგან ნაჩვენებ გზით! მაგრამ უკეთესია, რომ არ შობილიყვნენ ის კაცები, რომლებიც კითხულობენ ბიბლიას თვისი ეპვის და ბიბლიის შეურაცხყოფის განსამტკიცებლად.

როგორც თვისტომი კარლ მარქსისა, სპინოზასი და ლასსალისა, ჰეინე არ შეიძლებოდა განწყობილი ყოფილიყო ქრისტიანობასთან და ამ უკანასკნელმა ჰპოვა ამ კაცში სასტიკი მტერი. მაგრამ მძიმე ავადმყოფობამ და სხვა გარემოებებმა, მისცეს ჰეინეს მიზეზი ბიბლიაში ეძებნა ნუგეში - და მაში მოხდა ზნეობითი ცვლილება, რომელსაც ჰეინე აწერს ბიბლიას. ამის გამო აი **ჰეინე** რასა სწერს ბიბლიის შესახებ თავის წიგნის გერმანიის ფილოსოფიის და რელიგიის შესახებ მეორე გამოცემაში: „ჩემი გულის განათლებით მე სრულიად დავალებული ვარ ერთი წიგნის კითხვისგან. ერთი წიგნისა? დიახ, და ეს არის ძველი, მარტივი წიგნი, მშვიდი, როგორც ბუნება და ბუნებრივი, როგორც ბუნება, წიგნი, რომელიც საქმიანად და მარტივად გამოიცქირება, როგორც მზე, რომელიც ჩვენ გვათბობს, როგორც პური, რომელიც ჩვენ გვასაზრდოვებს... ეს წიგნი მოკლედ რომ ვთქვათ არის ბიბლია. სრულიად სამართლიანად უძახიან მას საღვთო წერილად. ვისაც დაუკარგავს ღმერთი თავისს სულში ის ხელახლად ჰპოვებს მას ამ წიგნში, ხოლო ვისაც სრულიად არა სცოდნია იგი, მას მოეფინება ამისგან ფშვინვა საღვთო სიტყვისა“.

რუდოლფ ვაგნერი ერთი შესანიშნავ ანატომთაგანი (1805—1864) თავისს წიგნში „დავა სულის შესახებ“, ამბობს: „უეჭველად, ბიბლიის ღირსებაა, რომ ის თვითონ აძლევს შეურყეველ-მტკიცე დარწმუნებას თვის საღვთო წარმოდგომაში იმას, ვინც სერიოზულად და გულდადებით უკვირდება მას და თვის ცხოვრებას აწესებს თანახმად ამ წიგნისა“.

ცნობილი ლინგვისტი ვილჰელმ გუმბოლდტი: „ძველი აღთქმის წიგნები, რომლებმაც მოაწიეს ჩვენამდის უწინდელი დროიდან, არიან უძვირფასესნი მათზე ისტორიულ მოწმობათა სიცხადით და სისრულით... მე ხშირად მასიამოვნებდა ხოლმე ის აზრი, რომ შესაძლებელი ყოფილა შედგენა ესოდენ დიადისა, მდიდრისა და სხვა და სხვაფერისა, როგორც ბიბლია. ეს ერთი წიგნი ხალხისთვის ეწევა ყველა კაცის სულის ნაწარმოების მაგვრობას, ისტორიისას, პოეზიისას, ფილოსოფიისას, ამასთანავე ძნელად თუ არის ისეთი მდგომარეობა კაცის სულისა და გონებისა, რომელიც არ იპოვიდა ბიბლიაში შესაფერ პასუხს. ამასთანავე ბიბლიაში ცოტაა ისეთი რამე, რის გაგებაც არ შეიძლებოდეს უბრალო გრძნობით; ბევრის მცოდნენი უფრო ღრმად სჭვრეტენ ბიბლიას, მაგრამ კი არავინ არ რჩება დაკმაყოფილებული. კითხვა ბიბლიისა არის უსაზღვრო და უნამდვილესი წყარო ნუგეშისა. ძნელია ამ შემთხვევაში რაიმეს შედარება ბიბლიასთან. ერთნაირად ძლიერი, თუმცა კი თვისებით სხვა და სხვანაირი, ნუგეში გვეძლევა, როგორც ძველის, ისე ახალი აღთქმის წიგნების კითხვისგან. ორივე აღთქმაში ვხედავთ ერთსა და იმავე ღვთის განგების მოქმედებას, ერთსა და იმავე გაბატონებულს იდეას და ორივე მათგან, შესაფერი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სულის განწყობილების დროს იზრდება ღრმად—შეურყეველი დარწმუნება, რომ ცხოვრებაში სამწუხარო შემთხვევებიც კი, ღვთის სიბრძნით, მიმართულია საზოგადო და თვით მისგან და მისთვის ვნებულთა სასიკეთოდ“.

მაშინ, როდესაც ჩვენი თანამემამულე ჰირისუფალნი ხალხის განათლებისა სცდილობენ გაუფუჭონ ხალხის თვალში სახელი ბიბლიას სხვა და სხვა ჰორების გავრცელებით შესახებ „ბიბლიის გამოუსადეგრობისა აღზრდისა და ზნეობისათვის“, დასავლეთს ევროპაში ურწმუნო სწავლულნი ჩვენებურებზე უფრო განათლებულნი სულ სხვა აზრისანი არიან ბიბლიის შესახებ. აი რასა სწერს ცნობილი „ინგლისელი მოციქული დარვინიზმისა“, პროფესორი **გექსლი**: „ყურადღებით ჩაუკვირდით ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს, რომ ეს წიგნი (ბიბლია) სამი საუკუნის განმავლობაში შედუღდა ინგლისის ისტორიის საუკეთესო და უკეთილშობილეს კაცთა ცხოვრებასთან! განა სხვა რომელი წიგნის საშუალებით აღიზრდებოდნენ ბავშვები კაცურად და გაიმსჭვალებოდნენ იმ შთაბეჭდილებით, რომ ყოველივე კაცი მკის იმას, რაც დაუთესია, დამოკიდებით იმაზე, რისადმიც მიილტვის, და რასაც აკეთებს და რაც უყვარს? მე არ ვამბობ, რომ უმაღლესი იდეალი ბიბლიისა რიცხავდეს სხვა იდეალებს და არ საჭიროებდეს რაიმე დამატებას. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ კაცობრიობას ჯერ არ მიულწევია იმ საფეხურამდე, რომელზედაც მას ბიბლია აღარ ჭირდება და რომ ვერც მიაღწევს ის ამ საფეხურს“. აი რას ამბობენ ბიბლიაზე თვით ევოლიუციის თვალის საზრისითაც კი! აგრეთვე უფრო მოწყალედ ჩვენებურს სწავლულებზე, რომელნიც იცნობენ ბიბლიას მხოლოდ გაგონილი ხმებით, ლაპარაკობენ ბიბლიის შესახებ თანამედროვე რაციონალიზმის წარმომადგენელნი. ცნობილი ისტორიკოსი რელიგიათა **ალბერტ რევილლი** სწერს: „ბიბლია (მიუხედავად კრიტიკისა) რჩება იმათვე, რათაც იყო, ჩვენ რელიგიურ წარმოდგომის წარუვალ ძეგლად და მოაზრე კეთილმსახურებისა და გონიერი რწმენის საუკეთესო მასაზრდოვებელ საშუალებად. არაოდეს ბიბლია არა ყოფილა საგნად ასეთი დაწვლილებითი და კაცნიერი კრიტიკისა, როგორც ჩვენს დროში და არაოდეს მისი გავლენა და გავრცელება არა ყოფილა ისრე დიდი, ვიდრე ეხლა. ბიბლია გადათარგმნილია ას ოცდა თხუთმეტ ენაზე (ეს ნათქვამია 1864 წ.). ეხლაც და ეწინაც ის ხანდახან აძლევს ხან ერთს, ხან მეორე ხალხს ანბანს და მითი სწავლობენ წერა-კითხვას“.

ერთმა გამოჩენილმა ოსტრონომთაგანმა **იოანე მედლერმა** (1794—1874) ახალ ბინაზე გადასვლის დროს პირველად ყოფილისა გადიტანა იქ ბიბლია და ახალს სადგომში შევიდა სიტყვებით: „ყველა წიგნებზე ადრე ჩემს სახლში უნდა შევიდეს ეს წიგნი“...

ნაპოლეონ პირველი აღტაცებით ლაპარაკობს ბიბლიის შესახებ: „სახარებას აქვს რაღაც ნაირი დაფარული ძალა, რაღაცნაირი სითბო, რომლებიც მოქმედობენ გონებაზე და სწვდებიან გულს. სახარება წიგნი კი არაა, არამედ არის ცოცხალი, მოქმედი, ძლიერი არსება, რომელიც სძლევს ყოველსავე, რაც კი მოინდომებს მის წინააღმდეგობის გაწევას. აი ისა სდევს აქ სტოლზე, ეს წიგნი ყველა წიგნთაგან (ამ სიტყვებთან იმპერატორი მოკრძალებით ხელით შეეხო წიგნს); მე არ ვიღლები ამის კითხვით და ყოველდღე ვკითხულობ მას ერთ და იმვე სიამოვნებით. სახარების სიმშვენიერით გატაცებული სული აღარ ეკუთნის თავის თავს; მას მთლად იპყრობს ღმერთი. იგი აძლევს მიმართულებას მის აზრებს და სურვილებს, ის ხდება ღვთის საკუთრებად“.

დიდი სახელმწიფო კაცი და ღრმა მოაზრე **გლადსტონი** შესავალში ბიბლიის სახალხო გამოცემისა ბიბლიის მნიშვნელობაზე ამბობს: „ეს დაულევნელი საუნჯე გვეუბნება განა, ან გვეტყვის როდისმე უარს ჩვენი სურვილების დაკმაყოფილებაზე, რა გაჭირვებაც უნდა გვეწვიოს ცხოვრებაში? რომელი წოდება და მდგომარეობა არა მდიდრდება მუდამ ეან და მუდამ დღე ამ სიტყვებით, რომლებსაც არ ასუსტებს არავითარი გამეორება, რომლებიც დღეს ისევე, როგორც პირველს დღეებში, შეიცავენ სიყმაწვილის და უკვდავების სიახლეს? ცალკე მკვლევარმა რომ გაუხსნას მათ თვისი გული, რომ მიიღოს ისინი თავისში, მისი შრომა დაჯილდოებული იქნება.

განმარტოებულ საპყრობილეშიც, წყნარ ღამეშიც, ავადმყოფობაშიც, სიკვდილის პირზეც ყველგან და ყოველთვის ბიბლია ჩვენთან არის, გვანუკეშებს, გვამხნევებს და გვამაგრებს ჩვენ".

უდიდესი ფილოსოფოსი **კანტი** სწერს შტილლინგს: „თქვენ კარგს შვრებით რომ სახარებაში ეძიებთ ნუგეშს, რადგანაც იგი არის დაულევნელი წყარო ყველა ჭეშმარიტებათა, რომლებიც სხვაგან არსად იპოვებიან, თუ გონებამ წესიერად განსაზღვრა თვისი სამფლობელოს საზღვრები".

ცნობილი ბუნების მეტყველი და ფილოსოფოსი **ფეხნერი** თავის გრძელ მსჯელობას ბიბლიის უცვალებელ მნიშვნელობაზე ათავებს ასრე: „ყველა თხუზულებანი უმშვენიერესნი და უგონიერესნი, რომლებსაც ვითომცდა საუკუნო მნიშვნელობა აქვთ, იღუპებიან და ადგილს უთმობენ სხვა წიგნებს. ბიბლია, ძველი ბიბლია, რჩება და არი, და დარჩება, და სული ქრისტესი მაში გაბჟნილი სიხარულით და სისაღით გამსჭვალავს ყველა სულიერად ავადმყოფებს და დაღლილებს, რომლებიც კი მოვლენ მასთან".

ჟან-ჟაკ რუსსო თხუზულებაში „ემილი" სწერს: „გამოვტყდები, რომ საღვთოწერილის სიდიადე მავსებს მე გაცვიფრებით. სიწმიდე სახარებისა ბევრ რამეს ექადაგება ჩემს გულს. შეხედეთ ფილოსოფოსების წიგნებს ყველა მათი ბრწყინვალებით და სიდიდით, როგორ მცირენი არიან ისინი ამ წიგნთან შედარებით! შესაძლებელია განა, რომ ესოდენ მაღალი და ესოდენ მარტივი წიგნი იყოს კაცის სიტყვად? შესაძლებელია განა, რომ ის, ვიზედაც ეს წიგნი მოგვითხრობს იყოს უბრალო კაცი? უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ჭეშმარიტად არსებობდა ის, ვინც მისცა მასალა ამ წიგნისთვის, ვიდრე მივიღოთ რაოდენიმე პირთა შეთანხმება ამ წიგნის შესადგენად".

სწავლული ისტორიკოსი ი. მიულლერი სწერდა თავისს მეგობარს ებონეტს: „ძველ დროთა შესწავლის დროს, მე ყოველთვის ვგრძნობდი რაღაცა ნაკლს და მხოლოდ მაშინ, როცა ვსცანი ღმერთი ახალი აღთქმის კარგად შესწავლით, ყოველივე ჩემთვის ცხადი შეიქმნა: მასთან ერთად ჩემთვის აღარაფერი არ არის აუხსნელი".

ფრანციელი სწავლული ისტორიკოსი **გიზო** თვისი ანდერძის პირველს ფურცელზე სწერდა: „ვხედავ ღვთის გონებას და მოქმედებას არა მხოლოდ მსოფლიოს მართვა-გამგეობაში და კაცის სულის დაფარულს ცხოვრებაში და კაცთა საზოგადოებათა ყოფნის აღწერაში, ნამეტნავად კი ძველსა და ახალს აღთქმაში. მე ქედს ვიხრი ბიბლიის და სახარების საიდუმლოთა წინაშე".

ცნობილი მწერალი კრიტიკოსი **ბელინსკი** ამბობს: „არის წიგნი, რომელშიც ყველაფერია ნათქვამი, ყველაფერია გადაწყვეტილი, რომლის შემდეგაც აღარაფერში არ არი ეჭვი, წიგნი უკვდავი, წმიდა წიგნი, საუკუნო ცხოვრებისა... მთელი პროგრესი კაცობრიობისა, ყოველი გამარჯვება მეცნიერებაში, ფილოსოფიაში მდგომარეობენ ამ საღვთო წიგნის საიდუმლო სიღრმის უმეტესს გაჭვრეტაში, მის ცხოველ, საუკუნოდ წარუვალ სიტყვათა შეგნებაში".

მეორე რუსეთის მწერალი, რომელსაც აგრეთვე სთვლიან თავისუფალ მოაზრეთ, სახარების შესახებ ასე სწერს: „სახარება მე ბევრჯელ წამიკითხია და სიყვარულითაც. მე სულ უხელმძღვანელოდ ვკითხულობდი, მაგრამ ყოველივე მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი ღრმა პატივის ცემას წაკითხულისადმი. სიყმაწვილეში მე ძალიან მივდევდი ვოლტერიანობას (თავისუფალ მოაზრეობას), მიყვარდა დაცინვა და გაკილვა, მაგრამ არ მახსოვს, რომ როდისმე ამელოს ხელში სახარება ცივი გრძნობით; ყველა ჰასაკში, სხვა და სხვა გარემოებებში მე ვუბრუნდებოდი სახარების კითხვას და ყოველთვის მის შინაარსს ჩამოჰყავდა ჩემ სულში მშვიდობა და სიწყნარე".

ყველა ზემო თქმულიდან ცხადია აღმატება ბიბლიისა ყველა კაცურ წიგნებზე, მაგრამ რით აიხსნება ეს? განა ბიბლიის შედგენილები თვის სულიერ მნიშვნელობით აღემატებიან კაცობრიობის უდიდესს წარმომად-

გენელებს—პლატონს, სოფოკლს, შექსპირს, გოეტეს და კანტს და სხვათა? მაშ რითი აიხსნას ბიბლიის აღმატება ამ მსოფლიო გენიოსების ნაწარმოებზე? აქ შეიძლება მხოლოდ ერთი სწორე პასუხი, რომელსაც იძლევა ეკლესია, სახელდობრ, რომ ბიბლია არის სიტყვა ღვთისა.

(დასასრული)

ნაცარყანელი

ქართველებისადმი.

გარდაიცვლება თუ არა ვინმე მოღვაწე ჩვენს სამშობლოში, ჩვენ ვიწყებთ გოდებას, ვთხზავთ მრავალს ლამაზად მოკაზმულ სიტყვებს, მჭევრმეტყველობაშიდ ერთმანეთს ვეჯიბრებით, განსვენებულის ღირსებებს ხშირად ერთიორად-სამად და მეტადაც ვაზვიადებთ, იმის დაკარგვით ჩვენს ქვეყანას ვსთვლით დაობლებულად, დაღუპულად,—და ამით გვინდა გამოვიჩინოთ მამულიშვილობა, სიყვარული სამშობლოსადმი. თვალ წინ ვიყენებთ ისტორიას ჩვენის ერისას, განათლებულ ცხოვრებას ჩვენის უუძველესის წინაპრებისას, წარმოვიდგენთ მათ მიერ აღნიშნულ შესანიშნავ ტაძრებსა და ციხეებს, მოვიგონებთ ძველ მწიგნობრობას და ვამაყობთ, გავიძახით: ჩვენც გვქონდა მნიშვნელობა მსოფლიო ცხოვრებაში,—და ამით გვინდა გამოვხატოთ სიყვარული სამშობლოისადმი. თვალწინ ვიხატავთ ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა ლამაზ კუთხეებს და ვხმობთ: „ბუნებამ თვისი სიმშვენიერე და ძლიერება მარტო ჩვენს ქვეყანაში გამოიჩინა, ასეთი ქვეყანა არსად არ მოიპოვება,—და ამით გვინდა ცხად ვყოთ სიყვარული საქართველოსადმი.

ვხედავთ მრავალს ნაკლულევანებებს ჩვენ აწინდელ ცხოვრებაში და მათ მიზეზებს ჩვენში კი არ ვეძებთ, არამედ სხვებში და ვიწყებთ დრტვინვასა და შფოთვას,—და ამით გვინდა დავამტკიცოთ სიყვარული მამულისადმი.

ასე ვიქცევით, სამშობლოსადმი სიყვარულს ზემოაღნიშნულ სახეებითა ვხატავთ, მაგრამ ჩვენის წამოყენებას, გაღონიერებას ვერა ვხედავთ. ვლაპარაკობთ, ვჭერმეტყველობთ, და წინმსვლელობა კი არ გვეტყობა: უმეტესი ნაწილი ჩვენი ერისა—გლეხობა სრულიად უმეცარ-შეუგნებელია, სცხოვრობს მოუწყობლად, ულაზათოდ, უსუფთაოდ; თითქოს იმათსა და პირუტყვებს შუა დიდი გარჩევა არ არის. ეგრეთ წოდებულ ინტელიგენტთა ცხოვრებაშიაც ვერა ვხედავთ ნიშნებს ნამდვილ განათლებისას, კულტურისას; არ არის მათში მთლიანობა-სოლიდარობა, ერთობრივი მოქმედება, მტკიცე, შეურყეველი მოღვაწეობა: ვერ ნახავთ, რომ რომელიმე საზოგადო დაწესებულება წესიერად და ნაყოფიერად მოქმედებს.

დიდებულნი ნაშთნი მთებზედ, ტყეებსა და მინდვრებშიდ საწყლად გამოიყურებიან, იქცევიან; ძვირფასი ხატები და ხელთ-ნაწერები იკარგება და სხვა.

ეს ასეც იქნება, სანამ ჩვენ ჩვენს მამულიშვილობას მხოლოდ ლაპარაკით გამოვხატავთ, სანამ სამშობლოისადმი სიყვარულს არ გამოვიჩენთ საკუთარ ნივთიერ საშვალების მოხმარებითა საქვეყნო საქმეებზე. წარმატებისთვის საჭიროა ნივთიერი საშვალება, ფული და ფული, და ამიტომ ყველა შეგნებული საზოგადო საქმეების გასაკეთებლად უნდა გადასდებდეს ფულს შეძლებისა გვარად. რამდენი ქართველია, რომელსაც წლიური შემოსავალი სამას თუმნამდე აქვს და განა მას არ შეუძლია სამშობლოსათვის ყოველ წელიწადს ათი თუმანი გადასდოს? რამდენი ქართველია, რომლის წლიური შემოსავალი ორას თუმნამდეა, და განა მისთვის სამძიმო იქნება ხუთი თუმნის გამოღებაა? ასე რომ იყოს, რამდენი ფული მოგროვდებოდა, და რა

არ გაკეთდებოდა! განა ფული არა გვაქვს? გვაქვს, მაგრამ მისი კეთილად მოხმარება არ გვინდა. ჩვენი შეძლება სეირნობასა, პრანჭვა-გრეხიაობაში, და მრავალჟამიერში მიდის. სამშობლოსთვის მხოლოდ ენას არ ვზოგავთ, ვლაპარაკობთ და ვლაპარაკობთ. რისთვის არ ვბაძავთ სომხებს ცოტათი მაინც? ძმანო, მამულიშვილობა ფულის გამოღებით გამოვიჩინოთ, და არა მხოლოდ მჭევრმეტყველობით.

რამპოლლა.

საფუძვლიანი ხმები დასავლეთ ევროპაში კონფესიურ სკოლის და სკოლაში სარწმუნოების დასაცველად.

(რუსულიდან) *)

რას ამბობენ გამოჩენილი სახელმწიფო კაცები, პედაგოგები, სწავლულები, პოეტები, მწერლები და სხვანი სარწმუნოებისა და კონფესიური (სარწმუნოებრივი) **სკოლის შესახებ.**

V.

რა უნდა ითქვას ურწმუნო სკოლათა მომხრეების ფრაზების შესახებ.

„თავისუფალი“ სკოლა არის განგებ გამოგონილი იარაღი სარწმუნოებრივ პრინციპებთან საბრძოლველად! ხალხი რომ თავის წინააღმდეგ არ ააღელვოს, მას არა აქვს წოდება უღვთოსი, უსარწმუნოებოსი, მაგრამ შეიცავს კი მთელ მათ საწამლავს და სცდილობს ჩუმად ამოაჭკნოს სარწმუნოება ბავშვების გულებში და მიიყვანოს ისინი სიკვდილამდე, ისევე როგორც აჭკნობენ ხოლმე ყვავილებს, როცა მათ აცლიან მასაზრდოებელ სინესტეს.

ბონომელი.

„თავისუფალი“ სკოლის დამცველნი ამბობენ: „რასაკვირველია, ოჯახს აქვს უფლება აღზარდოს შვილები თავის სარწმუნოებაზე, მაგრამ სკოლა ღია უნდა იყოს ყველასათვის განურჩევლად, უნდა პატივს სცემდეს ყველა აღსარებათა თავისუფლებას, ამიტომ უნდა იყოს უთუოდ **ნეიტრალი**, ე. ი. არ უნდა მიაქციოს ყურადღება სარწმუნოებრივს უთანხმოებებს და ასწავლოს მხოლოდ ზნეობა, რომელიც გამომდინარეობს ყოველი სარწმუნოებისგანო. სვინიდისის თავისუფლების პატივისცემა გვაიძულებს ჩვენ დავიცვათ „თავისუფალი“ სკოლაო.

პირველად ყოვლისა, ჩვენ სოფლების და ქალაქების სკოლებში მოსწავლე ბავშვებთაგან, რავდენია ებრაელების, პროტესტანტების და თავისუფლად მოაზრეთა შვილები. ბევრს სკოლებში, ნამეტნავად კი სოფლებისაში, ასეთები სულ არ არიან, ხოლო ზოგიერთ ქალაქებში და სოფლებში კი ძალიან მცირენი არიან. და განა უმცირესობას უნდა ანაცვალონ უმრავლესობის ინტერესები? განა ჩვენ იმ ქვეყანაში არა ვცხოვრობთ, საცა ყველაფერი, დაწყებული სულ მცირე საზოგადოებიდან, ვიდრე საკანონმდებლო დაწესებულებამდე, სწყდება უმრავლესობის ხმით? რისგან არის, რომ უმრავლესობას ყველგან პატივი უნდა ეცეს და სკოლაში კი არა? ერთის სარწმუნოების პატივის ცემისთვის, რათ უნდა უგულებელ ყოფილ იქმნენ სხვანი ათნი? სურთ საერთო, ანუ ნეიტრალი სკოლა **ყველა** სარწმუნოების პატივისცემისთვის, მაგრამ ეს მეტოდი შემცდარია, რადგანაც სრული უყურადღებოთ დატოვება,—რომ შეიძლებოდეს კიდეც ამისი განხორციელება—იქნებოდა ყველა მათი შეურაცხყოფა. სარწმუნოება რომ ისეთი რამე იყოს, რის თავიდან აცილება ძალმომრეობით შეიძლებოდეს, მაშინ ამ პრინციპის გამართლება შესაძლებელია, მაგრამ ის პირდაპირ ეხება ყველაფერს, ნამეტნავად კი ზნეობას და ყოველთვის აცილება მისი იქ, საცა ბავშვების აზრით, უნდა იყოს მაზედ ლაპარაკი. ნიშნავს მისს დიდს შეურაცხყოფას. ვითომდა ყველა სარწმუნოების პატივსაცემლად, მათ ყველას სდენიან სკოლებიდან და სურთ მათ მაგივრად შემოიღონ თავისი, რომელიც მდგომარეობს ყველა სარწმუნოების უარყოფაში.

სარწმუნოებაო, ამბობენ მოციქულები

---

*) იხ. „შინ. საქმ.“ № 26.

და დამცველები თავისუფალი სკოლისა, არის საქმე პირადი, სვინიდისისა, ოჯახისა, ამიტომ მაზე უნდა იზრუნოს თვითეულმა თავისებურად, მაზედ უნდა იზრუნოს თვითეულმა ოჯახმა. პირველად ყოვლისა, არ შეიძლება დავთანხმდეთ, რომ სარწმუნოება არის საქმე მხოლოდ პირადი, საქმე სვინიდისისა, ოჯახისა. სარწმუნოება არის მოვლენა საზოგადო და სოციალური. ამ ცხადი ჭეშმარიტების უარის მყოფელს არ უნდა ესმოდეს სიტყვების მნიშვნელობა, ან უნდა სიცრუეში ამხილოს კაცის გონება და ყოველი ეროის ისტორია. ეს ნიშნავს პირად საქმედ გამოცხადებას იმისას, რაც ასულდგმულებს და აცხოვრებს და ამოძრავებს მთელ საზოგადოებას.

იქვე 117—119.

საღი გონების შეურაცხყოფად უნდა ჩაითვალოს, თუ ჩვენ უარვყოფთ, რომ პრინციპი: „შვილები ეკუთნიან სამშობლოს, მას შეუძლიან თანახმად თავისი სურვილისა, აღზარდოს ისინი, მიუხედავად იმისა, რა შეხედულებისა და აზრისანი არიან მშობლები— გამოგონილია წარმართთაგან, ხმარებაში იყო მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შობამდე და აღდგენილია საფრანგეთის რევოლიუციის წინამძღოლთაგან. ამ შემთხვევაში, ჩვენ შეკეკითხებით ამ ახალ სპარტელებს და დამრღვეველებს მშობლების პირველი და ხელშეუხებელი უფლებისას: ვისგან მიიღეს სიცოცხლე შვილებმა, მშობლებისგან თუ სახელმწიფოსგან? ჯერ პირველად მათ ვინ უვლის, აჭმევს, აცმევს და ასაზრდოებს? ჩვენ პატიას ვცემთ სახელმწიფოს უფლებას და გვიყვარს მამული; ეს საზოგადო ვალდებულებაა; მაგრამ სახელმწიფოც და მამულიც უნდა პატივს სცემდნენ ოჯახის და მშობლების უფლებას, უნდა იცოდნენ, რომ მათი დიდება და სიკეთე გამომდინარეობენ მათი სარწმუნოებრივი თაყვანისცემისაგან და რომ მათი შთანთქმის სურვილი იქნებოდა უდიდეს ძალმომრეობად. სახელმწიფო გაჩნდა ოჯახის შემდეგ და მისთვის არის, რომ დაიცვას ოჯახის უფლებანი და არა მისთვის, რომ წაართვას მას ეს უფლება.

იქვე გვ. 117.

„მაგრამ“, ბვეტყვიან თავისუფალი სკოლის ადვოკატები, „თუ მშობლებს სურთ სარწმუნოებრივი სწავლება, მათ თავისი შვილები უნდა გაგზავნონ კერძო სკოლებში, იშოვნონ იმისთანა მასწავლებლები, რომლებიც სხვებთან ერთად, სარწმუნოებასაც ასწავლიან“. მაგრამ, მეტ ნაწილად, მშობლები ხომ ძალიან ღარიბები არიან, რომ ამაში ფული აძლიონ. საზოგადოებრივი სკოლა **უფასოა**, ე. ი. მის ფულს იხდის **გადასახადის გამღები წოდება**, რომელსაც მეტ ნაწილად ღარიბები ეკუთვნიან. თუ მათ აიძულებენ, რომ გაგზავნონ შვილები კერძო სასწავლებელში, ამითი მათ **ერთი ორად** გადაახდევინებენ ხარჯს; განა ეს სამართლიანია? „მათი ნებაა, გაგზავნონ, თუ არ გაგზავნონ იქ შვილები“. მაგრამ თავისუფლება აღარ ეთქმის, თუ მე ფასით შემიძლიან ვიქონიო სკოლა იქ, საცა უკვე არის უფასო. ხოლო თუ მოქალაქეებს აქვთ შეძლება, რომ გადაიხადონ კერძო სასწავლებლებში ფული, სამართლიანია განა, რომ ამათ ეს ხარჯი დაადონ?

იქვე გვ. 121.

ყოველი მამა, რომელიც ჯერ კიდევ ღირსია ამ სახელისა, სწუხს თავისი შვილების მომავლის შესახებ, რომლებსაც ყოველი ბოროტი დაბრკოლება მოელის მას სურს, რომ შვილებში შთანერგულ იქმნას სარწმუნოება, როგორც ზღუდე და მცველი ყოველ კეთილშობილურ ლტოლვილებათა დაცემის დროს. არაგვარი ცოდნა არ მის კემს ამას, რადგანაც ისტორიაც და სინამდვილეც მოწმობენ, თუ როგორ ეცემიან უმაღლეს გონებრივ განათლებიდან უღრმეს ზნეობრივ გარყვნილებამდე.

ტილმან პეში.

(დასასრული).

მეცამეტე საუკუნის ხელნაწერ კონდაკების განხილვის შედეგი.

საქართველოს ეკკლესიაში მეცხრე საუკუნის ბოლომდე სრულდებოდა წირვა წმ. იაკობ მოციქულისა. მეათე საუკუნიდან მეთერთმეტემდე სრულდებოდა წირვა, როგორც წმ. იაკობისა, ისე იოანე ოქროპირისაცა და ვასილი დიდისა. ხოლო 1103 წელს მომხდარმა რუის-ურბნისის კრებამ დაადგინა შესრულება წირვისა მხოლოდ კოსტანტინეპოლელ მღვდელ მთავართა: ვასილისა და იოანესი. მეთვრამეტე საუკუნემდე იოანე ოქროპირის წირვის წესი სხვა და სხვაობდა, ამ საუკუნეში ქართული კონდაკი შესწოდებული იქმნა სლავიანურ კონდაკებისამებრ, ამნაირად შესწორებულ კონდაკს ვხმარობთ ჩვენ ახლა. უმრავლესობას ჰგონია, რომ ეს კონდაკი უუძველესია, და იმას ხმარობდნენ უუძველესნი წინაპარნი ჩვენნი. ამ კონდაკში ბევრი შეცდომებია. ეხლახან დაიწყეს ტექსტის შესწორება. ასწორებენ უფრო სლავიანურ კონდაკის მიხედვით. აი აქ გვმართებს ფრთხილად მოქცევა. მართალია, ჩვენ ახლა მეოცე საუკუნეში ვართ და ჩვენ უუძველეს წინაპრებზედ გაცილებით მაღლა უნდა ვიდგეთ ყოველ მხრითა, და ჩვენ მიერ შესწორებული კონდაკი ლოღიკურადაც და სტილისტიკურადაც უფრო სწორი უნდა იყოს, გარნა ფაკტები სხვას გვიმტკიცებენ. თურმე, ნუ იტყვით, საღვთისმეტყველო მწიგნობრობის მხრივ უუძველესნი ჩვენნი წინაპარნი გვჯობიან ჩვენ, სახელდობრ მეათე-მეცამეტე საუკუნეთა. ცოდვა არ იქნება, იმათგან ვისწავლოთ და მათ მიერ ხმარებული კონდაკი აღვადგინოთ. თბილისის საეკკლესიო მუზეუმში არის უუძველესი კონდაკები, ტყავზე დაწერილები, მეცამეტე საუკუნისა №№ 922, 23, 194, 21 და 757. ამ კონდაკებსა და ახლანდელ კონდაკს შუა ბევრი განსხვავებაა, და ვინც ჩააკვირდება, პირველთ მოიწონებს. აღვნიშნოთ ზოგიერთნი განსხვავებანი.

1) კურთხეულ არს მეუფება მამისა, ძისა და წმიდისა სულისა. ყოველგან ასამაღლებლებში არის: მამისა, ძისა და წმ. სულისა. №№ 922 და 23 და ზოგან №№ 194 და 21. ასეც უნდა იყოს. ვიტყვით: ერთი ღმერთი არის სამპიროვანი: მამა, ძე და სულიწმიდა, და არა მამა და ძე და წმ. სული. მართალია, ბერძნულში „და“ არის ნახმარი, მაგრამ ღირსება თარგმნისა იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილით და სავსებით გადმოღებულ იქმნას შინაარსი იმისა, რაიცა ითარგმნება, და თანაც დაცულ იქნას კანონები, ფორმები და საერთოდ თვისებები იმ ენისა, რომელზედაც ითარგმნება.

2) რამეთუ შენი არს სიმტკიცე, შენი არს სუფევა, ძალი და დიდება. № 922. „რამეთუ შენი არს სიმტკიცე“ არის დამოკიდებითი წინადადება, ხოლო „შენი არს სუფევა, ძალი და დიდება“—მთავარი. რადგან შენ, ღმერთო, იპყრობ ყოველივეს, შენ ხარ შემქმნელი და განმტკიცებელ-მამოქმედებელი ყოველივესი, ამიტომ შენ გეკუთვნის მეფობა, ძლიერება და დიდება.

3) რამეთუ სახიერი და კაცთ-მოყვარე ღმერთი ხარ, შენდა დიდებასა აღვავლენთ... სახიერი და კაცთ მოყვარე ღმერთი ხარ“—დამოკიდებითი წინადადებაა, ხოლო „შენდა დიდებასა“—მთავარი.

თუ გვინდა, რომ მღვდლის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში მთლიანი აზრი იქმნეს, მაშინ ასე უნდა ითქვას. ხოლო თუ ასამაღლებელებს დაუკავშირებთ იმ ლოცვებს, რომლებსაც მღვდელი ასამაღლებელთა წინ იდუმალად ჰკითხულობს, და არარად ჩათვლით, რომ ხალხისთვის გასაგონ სიტყვებში აზრი დამთავრებულად გამოხატული არ იქმნება, მაშინ შეიძლება ითქვას ისე როგორც ახლა ვიტყვით, ე. ი. ხმა მაღლად ვსთქვათ მხოლოდ დამოკიდებითი წინადადება, და მთავარი კი ხალხისაგან დავმალოთ, და ვეძიოთ იგი საიდუმლო ლოცვებში. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ასამაღლებელებს არ მიუძღვის ლოცვები, მაგ. მწუხრსა და ცისკარში.

4) რამეთუ წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩვენო, შენდა დიდებასა აღვავლენთ №№ 922 და 21. „რამეთუ წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩვენო“—დამოკიდებითი წინადადება; „შენდა

დიდებასა აღვავლენთ"—მთავარი. თუ ამ სიტყვებს ერთ დამოკიდებით წინადადებად მივიღებთ და მათ საიდუმლო ლოცვას შევუერთებთ, მაშინ ღმერთს მივაწერთ ისეთ თვისებას, რომელიც მის ღირსებას დაამცირებს. როცა ვამბობთ: ღმერთი შეგვეწიოს ჩვენ იმიტომ, რომ მისდამი დიდებას აღვავლენთ, ამით ჩვენ მას თავმოყვარედ ვრაცხთ. გონიერ კაცსაც კი საწყენად დაურჩება, რომ უთხრან: დაგვეხმარე, რადგან შენ გაქებთო.

5) სულისაცა შენისათანა №№ 757 და 922. ახლა ვიტყვით: და სულისაცა შენისათანა, ამნაირად კავშირს „და„-ს ორჯერ ვიტყვით ერთსა და იმავე სიტყვასთან თავში „და" და ბოლოში „ცა", ხოლო ეს ქართულ ენას არ უნდა შეესაბამებოდეს: ვიტყვით: ივანესაც მიეცი, და არა „და ივანესაც მიეცი".

6) რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ (დამოკიდებითი), შენდა დიდებასა აღვავლენთ (მთავარი) № 922.

რათა ესენიცა ჩვენთანავე ადიდებდნენ ყოვლად პატიოსანსა და დიდად შვენიერსა სახელსა შენსა. №№ 922, 757, 21 და 23.

ორჯერ „და" რა საჭიროა, იხ. ზემოთ 5).

8) აღვასრულოთ ვედრება ჩვენი უფლისა ღვთისა მიმართ №№ 922 და 757. ახლა ვიტყვით: აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა. ამ სიტყვებიდან გამოდის, ვითომც ჩვენს ლოცვაში ღმერთი საჭიროებდეს, მართლა კი ჩვენ ვსაჭიროებთ ვედრებაში. ძველად წერაში სიტყვების შემოკლებისთვის ხშირად ხმოვან ასოებს: ი,ა და სხვებს სტოვებენ. „აღუასრულოთ"ა ის მაგივრად სწერდნენ: აღუსრულოთ.

9) ანგელოზი მშვიდობისა და ა.ია ანგელი. პირველი ქართულ ხმოვანებას უფრო შეეფერება, ვიდრე მეორე.

10) კარნი, კარნი, სიბრძნით მოხედეთ № 21.

11) ვსდგეთ კეთილად, ვსდგეთ შიშით, მოხედეთ წმ. ამას შესაწირავსა №№ 922 და 21.

12) მადლი უფლისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღვთისა-მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყოვნ თქვენ ყოველთათანა №№ 21, 757, 922 და 194. ამ ასამაღლებელში მოხსენებულნი არიან ღვთაების სამნივე პირნი: მადლი... ეკუთვნის მეორე პირსა, ზიარება... —მესამე პირსა, სიყვარული—პირველ პირსა; ხოლო პირველი პირი იწოდება „მამა ღმერთი" ანუ „ღმერთი მამა" და არა „ღმერთი და მამა". ამიტომ „სიყვარული ღვთისა" უფრო სწორია.

13) სულისაცა შენისათანა № 922.

14) წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა მისითა №№ 922, 194, 757 და 21. ეს სიტყვები ამოღებულია წმ. ისაიას საწინარსამეტყველოდან. იქ კი სწერია, რომ ანგელოზნი ერთი მეორეს უვალობდენ: „წმიდა არს"...

15) სუით ამისგან ყოველთა... № 194, ახლა ვამბობთ: სუთ, და ეს კი გაუგებარია, თითქო „გაჩუმდით".ს ნიშნავსო. ძველად წერილში ინს ხშირად სტოვებდენ, სიტყვას „სუით" სწერდნენ ასე: სუთ, რადგან მაშინ ინი იგულისხმებოდა, და შემდეგ კი ინი დაივიწყეს, და დარჩა მარტო სუთ.

16) უმეტესად ყოვლად წმიდისა... ღვთისმშობელისა—მარადის ქალწულისა მარიამისა. №№ 922, 21 და 23. ესევეა კვერექსებშიც. ცნებანი: ღვთისმშობელი და მარადის ქალწული ისე მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან ერთი მეორესთან, რომ უმჯობესია მათი დაწერა შეერთებულად, გაერთსიტყვიანებულად, ვიდრე კავშირის „და"-ს ჩამატებით. ღვთის მშობელი მარიამი შობის დროსაც იყო ქალწული.

17) და იყვნენ წყალობანი... და სულისა შენისათანა № 194.

18) და ღირს მყვენ ჩვენ, მეუფეო, კადნიერებით დაუსჯელად კადრებად და ხადად შენდა ზეცათა ღვთისა მამისა და თქმად... №№ 757, 194 და 21.

ხდად გაუგებარია, ხადად უფრო გასაგებია. ხადა-მოუწოდა, ხადილი მოწოდება. „ხადა"-ს მაგივრად ძველად სწერდნენ შემოკლებით ხდად, ანს იგულისხმებდნენ. შემდეგ საუკუნეებში კი ანი დაივიწყეს და დაიწყეს კითხვა ხდად.

რამპოლლა.

ორიოდე სიტყვა ჩვენ გამოფენაზე.

თავშივე უნდა აღვიაროთ, რომ დიდი მადლობის ღირსნი არიან ბ. ნ. მკურნალი, და სხვა მოღვაწეები, რომელთაც ხელი შეუწყვეს სამეურნეო გამოფენის გამართვას ქ. ქუთაისში. ამბობენ გამოფენა სრული არ იყო და რაც იყო, ისიც სასაცილო და უვარგისი ექსპონატების მხრითო—და ამას დანაშაულობად ურაცხვენ გამოფენის მოთავეებს, მაშინ, როდესაც ეს სწორეთ ასე უნდა ყოფილიყო. „კოკასა შიგან, რაცა სდგის, იგივე წარმოსდინდებისო“,—სთქვა უკვდავმა შოთამ. საიდგან შეიძლებოდა სამეურნეო გამოფენის სისრულე, როდესაც ჩვენი მეურნეობა სრული არ არის. ჩვენ მეურნეობას დღეს იგივე უვიცი ხალხი აწარმოებს, რაც მეფე ვახტანგ გორგასლანის დროს და რათ გვიკვირს, რომ მათგან გამოფენილ ექსპონატებში განმეორდა იგივე სოფლის ნაწარმოები. განათლებულ პირებს, ვისაც შეუძლია რამე ცვლილება შეიტანოს ჩვენ პირველყოფილ მეურნეობაში, ჯაჭვით ვერ შეათრევ სოფელში და მით უფრო გუთანს ვერ მოაკიდებიებ ხელს. მათ ჩინოვნიკის სახელის მოხვეჭა ურჩევნიათ „ყოველსა მოსახვეჭელსა“ და სანამ ასეთი მიმართულება ჩვენი ნასწავლი საზოგადოებისა არ შეიცვლება, სანამ სასოფლო მეურნეობა საპატიო ხელობად არ გადიქცევა მათთვის, მანამ მას (მეურნეობას) ფერი არ ეცვლება და გამოფენაც ვერაფერს გვიჩვენებს მის მეტს, რაც არ იყო იმავე ვახტანგ—გორგასლანის დროს. ამიტომ გამოფენამ გვიჩვენა სწორედ ის, რაც უნდა ეჩვენებია, გვიჩვენა ჩვენი უვიცობა, ჩვენი უგულობა, ჩვენი სიღატაკე და სიკოტრე ყოველი მხრით. არა თუ ორიგინალური ვერაფერი გამოვფინეთ (რაც არ გვქონდა, რას გამოვფენდით) სხვისაგან ნასესხებ გადმონაღებისაგანაც ისეთი რამეები გამოვიტანეთ საჩვენებლად, რაც პირდაპირ ამცირებს განათლებულ ხალხების კულტურასაც, როგორც მაგ. ედამსობის გუთნები, ფოთის მწვირიანი თაფლის სანთელი, გადაგვარებული ცხოველები. გამოფენას ეტყობოდა, რომ ჩვენში არის სურვილი კულტურულ ქვეყნების მეურნეობის გადმოტანისა, მაგრამ არ არის. ხელმძღვანელი, არ გვყანან შეგნებული მეურნეები.

ისევ საცოდავ სოფლის მასწავლებლებს თუ შეაქვთ ხალხში რაღაც კულტურასავით მეურნეობის მხრით, თორემ სხვა მშველელი კაცი არ ჰყავს სოფელს...

მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა მაჩვენებელ ექსპონატთა შორის შესანიშნავი იყო გამოფენაზე რაჭის პავილიონი. აქ იყო გამოფენილი სხვა და სხვა მადნეულები და მადნეული წყლები, რომლებიც იპოებიან რაჭის მთებში. სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს, რომ ასეთ ბუნებისგან დაჯილდოებულ მხარეს ასეთი ღარიბი ხალხი ასხია. რცხვენოდეს ჩვენ ვაჟბატონებს, რომლებიც რაღაც ოცნებას ემსახურებიან და ნამდვილ სამოღვაწეო ასპარეზს მხარს უქცევენ!...

არ შეგვიძლია ჩუმათ ჩავუაროთ გელათის მონასტრის სანთლის ქარხნის პავილიონს. ხელოვნება, რომელიც ამ მონასტრის ძმებს შეუსწავლიათ სანთლის კეთების შესახებ, შესაფერია იმ წმიდა საქმისა, რომელსაც ემსახურება თვით მათი ნაწარმოები. უმაღლესი სისუფთავე ნაწარმოებისა, მისი შნო და ლაზათი ერთბაშათ იზიდავს ადამიანს და ეუბნება მის გულს, რომ ასეთი ნაწარმოები შესაფერია მხოლოდ ღვთის სახლისა და მისი დიდებისა. სჩანს არც ისე უსარგებლონი იქნებიან ბერები, როგორც ამას ამტკიცებენ ჩვენი მონასტრების მტრები. საჭიროა მხოლოდ თანაგრძნობა და მათი მორწმუნე სული არ დაიყოვნებს ნაყოფის გამოღებას.

კიდევ მადლობა განსაკუთრებით ბ. ნ. მკურნალს, რომელმაც თვალით დაგვანახვა ჩვენი ჩამოქვეითება. იქნებ ამის შემდეგ მაინც გამოვიღვიძოთ და მოვიხმართთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე, რომ ტანტალივით არ ვიტანჯებოდეთ შიმშილ-წყურვილით, როცა ბუნებით მდიდარი ვართ...

ხელი.

ხმები ეპ. კირიონის განთავისუფლების შესახებ.

როგორც გადმოგვცემენ, ყ-დ სამღვდელო კირიონი სრულიად გაუმართლებია უწ. სინოდს იმ ბრალდებისაგან, რომელსაც სწამებდენ მას შესახებ განსვენებულ ექსარხოსის მკვლელობის. ამბობენ, სინოდი მეტათ გაურისხებია უსინიდისო დამბეზღებლების უმართებულო საქციელს. მოხარული უნდა ვიყოთ, რომ უწ. სინოდმა გამოიჩინა ამ საქმეში ასეთი მიუდგომლობა და კანონიერება. კანონიერებავე მოითხოვს, რომ სამშობლოს დაუბრუნდეს თვისი სასარგებლო შვილი. ასეთივე ბედი უნდა ეწიოს ჩვენი აზრით მეორე პყრობილს მ. არქიმანდრიტ ამბროსისაც, რომელსაც ამ ბოლო ხანებში სინოდმა წირვა-ლოცვის შესრულების უფლება დაუბრუნა, რაც აშკარად მოწმობს მის უბრალოებას იმ ბოროტ მოქმედებებში, რომელსაც მას სწამებდენ. ურიგო არ იქნება, ამის შემდეგ მაინც ამოვიღებდეთ ხმას და მოვითხოვდეთ ჩვენ დაქვეითებულ სამღვდელოების მოწინავე წევრების უკანვე დაბრუნებას სამშობლო ეკლესიის სასარგებლოდ და სანუგეშოდ.

ამბობენ, კირიონს ექსარხოსად ასახელებენო. ამ ხმის სარწმუნოდ მიღება ბავშური გულუბრყვილობა იქნება, მაგრამ უწ. სინოდი არ შეცდება, თუ ვინმე ქართველს დანიშნავს ამ თანამდებობაზე. თუ სხვა სარგებლობას ვერაფერს მოიტანს ქართველი ექსარხოსი დღევანდელ პირობებში, იმას მაინც შეიძლებს, რომ წირვა და ქადაგება გააგონოს სამწყსოს თავის ენაზე. გვითქვამს და ვამბობთ, რომ თუ ქართლ-კახეთის სამღვდელოებაც და სამწყსოც დაეცა ზნეობის და სარწმუნოების მხრით, ამის ბრალი უმთავრესად რუს ეგზარხოსებს ედება, რომლებიც მხოლოდ კანცელარიის ჩინოვნიკები იყვნენ და კონტორის კედლებს არ გაშორებია მათი მწყემსთ მთავრული მოღვაწეობა. სარწმუნოება, რომელიც ასე დაცემულია ხსენებულ ეპარქიაში, ცირკულიარებით არ აღდგინდება, არამედ ცოცხალ ურთიერთობით. მწყემსსა და სამწყსოს შორის, რაც შესაძლებელია მხოლოდ ქართველ ეგზარხოსის, გინა ეპისკოპოზის მხრივ. ვისურვებთ, რომ ხმები გამართლებულიყოს და ქართლ-კახეთის ეპარქიას ღირსებოდეს თავის ენაზე თვისივე მღვდელ-მთავრის სწავლა მოძღვრების მოსმენა. მაგრამ, უეჭველია, მარტო სურვილი, და ისიც ჩვენი, ვერაფერს გააკეთებს, საჭიროა ამის შესახებ ხმა აღიმაღლოს პრესამ და საზოგადოებამ და უპირველეს ყოვლისა სამღვდელოებამ, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ხალხში სარწმუნოების განმტკიცება. ეხლა სწორედ დროა ასეთი ხმის ამაღლებისა. ბ. დურნოვოს და სხვა ჟეშმარიტების მომხრე პირების წერილებიდგან სასულიერო მთავრობა გაცნობილია ეგზარხოსების მართვა გამგეობასთან საქართველოში; ის აშკარად ხედავს, რა შედეგი მოიტანა ეგზარხოსობის მართვა-გამგეობამ საქართველოში სარწმუნოების მხრივ და სხვა მხრივადაც.

თუ ჯერჯერობით შეუძლებელია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა, სანამ ამისი ჟეშმარიტი საფუძვლები არ გამოიკვლევა მაღალ სფერებში, ქართველ ეგზარხს მაინც რაღა უშლის, მის შემდეგ, რაც გვიჩვენა მწარე წარსულმა!..

ბოსლეველი.

მარტვილი.

ბუნდიდელი,
როდინდელი?
—არონისებრ
ძველი მღვდელი.
ხალხური.

ნამდვილ ეს არის იგი ედემი,
იგი წალკოტი, ბაღი—სამოთხე,
სადაც სცხოვრებდა ევა—ადამი,
სადაც ქვეყანას აქვს დასაბამი.
ამ არემარის მშვენიერებით
აქ, სული ტკბება და გული ხარობს,
ნაზი ბუნება თვის ძლიერებით
გრძნობას იზიდავს, რომ შეიყვაროს.
ერთ მხრით აბაშა, წინ ცხენის წყალი,
„ევფრატ—ტიგრის“ წილ გარშემოუვლის,

ბუნებას თვისი ძლიერი ძალი
აქ მიუპყრია შემკობად ყოვლის.
„გეონ“, „ფისონიც“ ეს უნდა იყოს;
„ნოღა“, „ინჩხია“-ს წყლები ანკარა,
სამოთხე უნდა აქ ყოფილიყოს,
შესადარებლად თურომ ეს კმარა.
გონებავ დასტკბი, გულო ილხინე
ამ თვალწარმტაცი სანახავითა,
თვალებო ხარბათ მიმოილხინეთ,
გრძნობავ გამეფდი აღმაფრენითა...
ამ არემარის მშვენიერება
მარტო ახლა არ იპყრობს ჩვენს გულსა,
იყო დრო როცა ბედნიერება
კოლხიდელებსაც უტკბობდა სულსა.
თავისთავისა ბედისა ჩარხი
ხელში ეჭირათ, თვით აბრუნებდენ,
ბედნიერათა სცხოვრობდა ხალხი
და თვისსა სახელს განადიდებდენ.
აქ იდგა დიდი, უზარმაზარი
ტოტებ გაშლილი, ცად მწდომი „ჭყონი“*),
ქურუმთ მთავრები გასაოცარი
და ხალხი სჯულით არ მოსაწონი.
ამ ჭყონსა დიდსა, კოლხიდის ერი,
ძველთა ძველწესით მსხვერპლსა სწირავდა,
და ეს კერპული რწმენა ძლიერი,
საშვილიშვილო ეგონათ წმინდა.
მაგრამ ანდრია მოციქულმა, რა
მათ ქრისტეს მცნება მოასმენინა,
კერპები იქეთ მიყარ-მოყარა
და ეს ჭყონი კი მოაპრევინა.
მის მონაპერზე წმიდა ტაძარი,
საქრისტიანო, მყისვე ამართა
და მყისვე ქრისტეს სჯულის სადარი
ღვთის მსახურება აქ გაიმართა.
ასე, ძველ დროში ესე ადგილი
იყო სამსხვერპლო, საღვთო საგანი,
და ახალ დროშიც გახდა მარტვილი
საქრისტიანო, სჯულის აკვანი.
ამავ დროიდან, აქ იჯდა მარად
სჯულის მოთავე და გამგებელი,—
დადიანთ გვარის: ერთი ძმა მთავრად
და მეორე ძმა, თვით ჭყონდელი.

*) ჭყონი,—მეგრულათ მუხას ქვია.

რ. ს.

დრონი იცვალნენ, განქრა მთავრები,
გაჭრა ჭყონდიდელთ დიდება ძველი,
და შეგვრჩა მხოლოდ ძველი დავთრები,
მოსაგონებლად გულის მომწყლველი.

რ. საჯავახოელი.

ივლისი 24.
1908 წ.

მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას.

კაი ხანია ჩვენ შევწყვიტეთ ამ საგანზე ლაპარაკი მკითხველებთან. სულის უკვდავების და საიქიო ცხოვრების არსებობის საკითხი არ დაჰკარგავს თავის ინტერესს სანამ ადამიანი იცოცხლებს ქვეყანაზე. მატერიალისტი, რომ მატერიალისტია და არა სწამს არაფერი, გარდა მატერიისა, იმასაც კი აღელვებს და აფიქრებს საკითხი: რანი ვართ და რა არის ჩვენი ცხოვრების მიზანი? მატერიალიზმი მხოლოდ ნიღაბია, რომელიც ჰფარავს ადამიანის შინაგან განწყობილებას, ჩამოხსენით ეს ნიღაბი მატერიალისტს, ჩაიხედეთ მის გულში და თქვენ ცხადად დაინახავთ იქ იმ საკითხებს, რომელიც ყველა ჩვენგანს აღელვებს. აქედგან აიხსნება ის თანდისთან მოზარდი ინტერესი, რომლითაც მატერიალისტები ეკიდებიან შედარებით ახალ მეცნიერებას—სპირიტიზმს. თუმცა იგინი ყოველივე სპირიტიულ მოვლენას თავისებურად, მატერიალისტურად ხსნიან (რომელი ახსნაც, თავისთავად ცხადია არაფერს არ ამბობს და არაფერს არ ხსნის), მაგრამ ჯერჯერობით ისიც საკმარისია, რომ სპირიტიულ მოვლენას ისეთივე სინამდვილე აქვს მათ თვალში, როგორიც ფიზიკურ საგნებს. დაე ახსნან, როგორც უნდათ, ეს მოვლენანი, ამით თვით მოვლენას არაფერი აკლდება ჩვენთვის არც ძალაში და არც დამარწმუნებელობის ხარისხში.

გაძლიერებული ინტერესით უნდა აიხსნას უმთავრესად ის გარემოება, რომ სპირიტიულ მოვლენებს ადგილი ეძლევათ მატერიალისტურ ჟურნალებში. მაგ. ბიტნერს თავის უკიდურეს მატერიალისტურ ჟურნალ „Вѣстникъ зна-

ність"-ში მოუთავსებია უკანასკნელი გამოკვლევანი ინგლისის გამოჩენილ მსწავლულ სტედისა. ფრანგულ ჟურნალ „he Revue"-ს სიტყვით, ბიტნერი მოგვითხრობს სტედის გულწრფელობასა და კეთილ სინდისიერებაზე, რომელი თვისებებიც უეჭველჰყოფენ მის გამოკვლევებს სინამდვილის მხრივ. მას, ვინც სესილ როდსს უწოდა „კამპის ნაპოლეონი" და მოითხოვა მისი სასტიკად დასჯა, როგორც ძმათა მომსვრელ ბურებთან ომის მიზეზისა, მიუხედავად იმისა, რომ მან ამით დაჰკარგა ხუთი მილიონი, რომელიც მას რჩებოდა სესილ როდსის ანდერძისამებრ, თქმა არ უნდა, შანტაჟისტობას ვერ დავსწამებთ იმ კვლევა-ძიებაში, რომელსაც იგი ამ უკანასკნელ დროს ეწევა იმ მიზნით, რომ გამოცდილებით დაამტკიცოს სულის არსებობა და მისი არსებობის განგრძნობა შემდეგ იმ ცვლილებისა, რომელსაც საზოგადოდ სიკვდილს უწოდებენ, ხოლო ქართველებს კი სამართლიანად **მიცვალება** უქვიათ.

ბ. ბიტნერი ურჩევს მკითხველებს, რომ ბ. სტედის გადმონაცემი ფაქტები განიხილონ იმ დარიგების მიხედვით, იმ მეთოდით, რომელიც მას მოყვანილი აქვს თავის წიგნ „Въ область таинственнаго"-ში. თითონ კი ვერ ბედავს (თუ განძრახ არაფერს ამბობს —არ ვიცით) ამ მხრივ მის შეხებას. მაგრამ ფაქტები თავისთავათ ლაპარაკობენ და მათი განმარტება მეტია, როგორც თვით მკითხველი დაინახავს. აი ეს ფაქტებიც ისე, როგორც მოყვანილია ბ. ბიტნერის ორგანოში *).

„ეხლა მე გადავდივარ, ამბობს ბ. სტედი, იმ დამამტკიცებელ საბუთებზე, რომლებმაც დამარწმუნეს, რომ ადამიანის პიროვნება არ ისპობა, არამედ განაგრძობს არსებობას შემდეგ სიკვდილისა.

პირველად უნდა შევნიშნო, რომ მე ავტომატიური წერის ნიჭი მაქვს. ეს ნიჭი მდგომარეობს შემდეგში: მოვიყვან რა ჭკუას უმოქმედო მდგომარეობაში, მე შემიძლია დავსდო ქალამი ქაღალდზე, და ჩემი ხელი მწერს მე წერილებს შორეულ მეგობართაგან. ამასთან სულ ერთია ცოცხალნი არიან ეს ჩემი მეგობრები, თუ უკვე მიეცნენ იმ ცვლილებას, რომელსაც ჩვენ სიკვდილს ვეძახით.

როცა ასეთი ავტომატიური წერილები მომიდის ჯერ ისევ ცოცხალ მეგობართაგან, მე შემიძლია შევამოწმო მათი სინამდვილე იმ პირების დაკითხვით, რომლებმაც იგინი გამომიგზავნეს. ყოველ გაუგებრობას რომ გადავრჩე, მე ყოველ შემთხვევაში უნდა დაუმატო, რომ ამ წერილების გადმოცემა უფრო ხშირად ხდება ხოლმე მათი ავტორის გაუგებრად, მათ ცნობის გარეშე. მოხდება ხოლმე, რომ რომლებიც მე მათ გაუგებრად ასეთ ბარათებს მწერენ ხოლმე, გაოცებული რჩებიან მით, რომ ეს ხდება მათი ცნობიერების გარეშე. დასამტკიცებლად მე მოვიყვან გამოცდილებას, რომელიც მოვახდინე პირველ ჩემი გამოკვლევებისა.

ერთი ჩემი ნაცნობ მანდილოსანთაგანი, რომელიც სწერდა ჩემი ხელით უფრო უკეთ, ვიდრე თავის საკუთარით, კვირის უკანასკელ დღეებს ატარებდა სოფელ გადისმერაში, რომელიც მდებარეობდა ლონდონიდგან ორმოცდა ათ კილომეტრზე დაშორებით. იგი ჩემთან უნდა ყოფილიყო ოთხშაბათს საუზმეზე, თუ ლონდონში დაბრუნდებოდა. ორშაბათს ნაშუადღევს მე მოვინდომე გამეგო, დაბრუნდა თუ არა ჩემი ნაცნობი ქალი ქალაქში. ჩემმა ხელმა დასწერა შემდეგი:

ჩემთვის სასიამოვნო არ არის შეგატყობინო, რომ მე შემემთხვა სამწუხარო ამბავი, რომლის თქმაც თითქმის მრცხვენია. მე გამოვედი გადისმერიდგან ნაშვადღევის 2 ს. და 27 წ. მეორე კლასის ვაგონით, სადაც ჩემს გარდა იყვნენ კიდევ ორი ქალი და ერთი კაცი. გოდალმინში, სადაც პოეზდი გაჩერდა, ქალები გადმოვიდნენ და მე მარტო დავრჩი ამ პოსაჟირთან. მან დასტოვა თავის ადგილი და მომიჯდა გვერდზე ძლიერ ახლოს. მე შემეშინდა და ვსთხოვე, ცოტა იქით გაეწია. მან უარი სთქვა და საკოცნელად მოიწია. მე ბრაზი მომერია. ჩვენ შორის გაიმართა ბრძოლა. მე ვსტაცე ხელი მის ქოლგას და დაუწყე

*) იხ. «Вѣстн. знанія» 1909 წ. №№ 8—9 გვ.

ცემა, ქოლგა გადატყდა, და მე უკვე მეშინოდა, რომ ძალა არ დაერია; ამ დროს მატარებელმაც სვლას მოუკლო და გაგვაჩერა გილდფორდის სადგურზე. მამაკაცი შეფრთხა, გამიშვა ხელი და, სანამ მატარებელი გაჩერდებოდა, გამოვარდა ვაგონიდგან და გაიქცა. მე ძალიან აღელვებული ვიყავი, მაგრამ ქოლგა მაინც შევინარჩუნე.

მე მივსწერე ჩემ კორესპონდენტ ქალს და გამოვუცხადე ჩემი მწუხარება ამ შემთხვევის გამო, და თან დავუმატე:

„დამშვიდდით და ოთხშაბათს ქოლგა თან წამოიღეთ".

მან მიპასუხა:

„მე ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ ყველაფერი იცით. მე გადავსწყვიტე არავისთვის არ გამემხილა ეს უსიამოვნო შემთხვევა. ქოლგა ჩემი იყო და არა იმ ვაჟბატონისა!!.

ოთხშაბათს საუზმეზე ჩემმა ნაცნობმა ქალმა დამიმოწმა ყოველი წვლილმანი ამ შემთხვევისა და ქოლგაც მიჩვენა, რომელიც მართლა მას ეკუთვნოდა, და არა იმ კაცს. საიდგან შემოიპარა ესეთი შეცდომა წერილში? არ ვიცი. შეიძლება მიტომ, რომ მე არ გამომიკითხავს დაწვლილებით დანარჩენი ნაწილი მოთხრობისა. ყველაფერი, რაც შემიძლია ვსთქვა მე ამ შემთხვევის შესახებ, ეს ისაა, რომ მე არ მქონია არავითარი ფიქრი არც მატარებელზე, რომლითაც ის ქალი გამოვიდა, არც იმ უსიამოვნებაზე, რომელიც მას შეემთხვა.

მე შემიძლია დავამოწმო, რომ მას შემდეგ—აგერ თუთხმეტი წლის განმავლობაში, მე ვღებულობ ჩემი მეგობრებისაგან ასეთ წერილებს. მოხდება ხოლმე შეცთომებიც, მაგრამ საზოგადოთ წერილები განირჩევიან გასაოცარი სინამდვილით (точностью). ეს სისტემა ავტომატიურ ტელეპატიისა, რომლის მაწარმოებელნი არიან ადამიანები, ჯერ კიდევ ცოცხლები, ჩემ თვალში ისეთივე უცილობელი ფაქტია, როგორც ელექტრონის ტელეგრაფის არსებობა. ეს ისეთი ფაქტია, რომლის სინამდვილე ყოველ დღე შეიძლება გამოსცადოს კაცმა და რომლის ჭეშმარიტება ამიტომ ისეთივე უცილობელი საგანია ჩემი მეგობრებისთვის, როგორც ჩემთვის.

დაგვრჩენია დავამტკიცოთ, რომ ასეთი სისტემა ავტომატიურ ტელეპატიისა, რომელიც უდრის უმავთულო ტელეგრაფს, შეგვიძლია განვავრცოთ იმათზედაც, რომლებმაც გასცურეს მდინარე სიკვდილისა. მე მოვიყვან ამის შესაფერ ფაქტებს ჩემ პირად გამოცდილებიდგან.

მე ვიცნობდი ორ მანდილოსანს, რომელთაც მხურვალედ უყვარდათ ერთმანეთი. როგორც ხშირად მოხდება ხოლმე, იმათ ერთ-მანეთისთვის აღთქმა მიეცათ, რომ იგი, რომელიც უწინ მოკვდება, გამოეცხადება მეორეს, რომ ამით ცხადად დაუმტკიცოს მას სინამდვილე საიქიოს არსებობისა. ერთ ამ ქალთაგანს ერქვა იულია. ბევრი ხანი არ გასულა ამ პირობის დადების შემდეგ, რომ იგი გადაიცვალა ბოსტონში. გავიდა რამოდენიმე კვირა შემდეგ სიკვდილისა და იულიამ გამოაღვიძა თავის მეგობარი ქალი ჩიკაგოში და დასდგა მის თავით. გამოცხადებულის თვალები ბრწყინავდენ ბედნიერებით. შემდეგ რამოდანიმე წამის სიჩუმისა მოჩვენება ნელ-ნელა გადნა მსუბუქ ნისლად, რომელიც მთელი ნახევარი საათი იდგა ოთახში.

რამოდენიმე დღის შემდეგ, ნაცნობი, რომელზედაც მოგახსენებთ, მოვიდა ინგლისში. ჩვენ ვცხოვრებდით ერთად ესტნორ-კესლში, დასავლეთით, და იულია ხელმეორედ გამოცხადდა აქ. მის მეგობარ ქალს ჯერ კიდევ არ ეძინა, იგი ძალიან აღძრულ მდგომარეობაში იყო და ხედავდა იულიას ისე ცხადად, ისე გარკვეულად, როგორც სიცოცხლეში. მაგრამ ჩვენებას ლაპარაკი არ შეეძლო და ჩქარა გაქრა. იულიას მეგობარმა გადმომცა მე ეს მეორე ჩვენებაც და მკითხა, არ შეიძლება წირილი მივიღო მიცვალებულისაგანო?

მე შევპირდი და მეორე დღეს ჩემმა ხელმა დასწერა ძალიან მოკლე, მართალია, მაგრამ, გარკვეული ბარათი:

„სთხოვე მაგას მოიგონოს, რა მითხრა მე, როცა ჩვენ უკანასკნელად ვნახეთ ერთმანეთი მინეერასას".

მე ვუპასუხე, რომ ეს წერილი უთავბოლოა, მაგრამ ჩემი ხელი ეინიანობდა და მიმტკიცებდა, რომ მეგობარი ქალი გაიგებდა. მე იმ ზომამდე დარწმუნებული ვიყავი ამ ბარათის უთავბოლობაში, რომ რამოდენიმე ხნის განმავლობაში არ მინდოდა განმეცხადებია იგი, მაგრამ, როცა იგი გადეეცი, მან წამოიძახა. ნუთუ მართლა მან დასწერა ეს? ამ შემთხვევაში ეს ნამდვილად იულიაა, აქ შეცდომა შეუძლებელია.

— როგორ შეგეძლოთ თქვენ, შევეკითხე მე, ყოფილიყავით მინერვასას?

ო! — ეს მართალია, მითხრა მან, თქვენ არ იცით. სიკვდილის წინ იულიამ ქალბ. ვილლარდს დაარქვა მინნრვა და აჩუქა მას გულის ქინძისთავი, რომელზედაც გამოხატული იყო ბერძენთ ღმერთ-ქალი. მას აქეთ იგი იმას ყოველთვის მინერვას უწოდებდა და რაც მან დასწერა შენი ხელით ძირითადად შეესაბამება იმას, რაც მოხდა მაშინ, როცა მე და მინერვამ ვნახეთ იულია სასიკვდინე სარეცელზე.

აქაც მსუბუქი შეცდომა შეიპარა. მინნერვა იულიასთან იყო და არა იულია მინერვასთან, ხოლო დანარჩენში წერილი შესაბამია. მე მაშინ წინადადება მივეცი, რომ სხვა წერილებიც მიეღო. იულიას მეგობარი ქალი დაჯდა სტოლის ერთ თავში, ხოლო მე მეორეში, და როდესაც ჩემმა ხელმა დაწერა პასუხები აურაცხელ კითხვებზე, მე ვკითხე იულიას, ხომ არ ისარგებლებს იგი ჩემი ხელით თავის პიროვნების დისამტკიცებლად, ისარგებლოს ჩემი ხელით და მოაგონოს თავის ამხანაგს რომელიმე სრულიად ჩემთვის უცნობი შემთხვნვა მათი საზოგადო ცხოვრებიდგან. ითქვა — იქმნა. ჩემმა ხელმა დასწერა:

— ჰკითხეთ, ახსოვს თუა არა მაგას, როგორ დავსეირნობდით ერთხელ ერთათ, ხოლო მაგ დაეცა და ხირხიმალი იტკინა.

— უკეთესი არ შეიძლება — შევნიშნე მე. მე არასოდეს არ მცოდნია, თუ ასეთი შემთხვევა გქონდათ თქვენ.

— მაგრამ, იულია, მე არასოდეს ასეთი შეთმხვევა არ მქონია, მიუგო მეგობარმა.

მე გთხოვეთ თქვენ — წამოვიძახე გულმოსულად, მოგეგონებია შენ შეგობარ ქალისთვის ერთი ათას წვრილმან შემთხვევათაგანი, რომელიც მოგიხდათ ერთად ყოფნის დროს, თქვენ კი ისეთ რამეს სწერთ, რომელიც არასოდეს არ მომხდარა.

მაგრამ ჩემმა ხელმა შეურყეველად დასწერა:

— მე სრულიად მართალი ვარ, მაგას დავიწყნია.

— ასე თავის მართლება ადვილი შესაძლებელია მიუგე მე. შეგიძლიათ თუ არა უფრო დაწვრილებით მოაგონოთ ეს ამბავი?

— დიახაც — მიპასუხა მან.

— მე ველი პასუხს. — როდის იყო ეს?

— პასუხი: შვიდი წლის უკან!

— სად?

— სტრეტორაში, შტატ ილინოისში.

— როგორ მოხდა ეს?

— მე და მაგ ერთად დავბრუნდით შაბათს ლოცვიდგან. თოვდა. ქალბატონი ბიულის სახლთან მაგას ფეხი დაუცდა ტროტუარის პირზე, დაეცა და ზურგი იტკინა.

მე ხმამაღლა წავიკითხე დაწერილი. „ახ, აი რა უნდა სთქვას! — წამოიძახა იულიას მეგობარმა ქალმა — მე მშვენიერად მახსოვს. მე იძულებული გავხდი სამი-ოთხი დღე გამეტარებია ლოგინში. მე ზურგი მტკიოდა, მაგრამ არასოდეს არ მიფიქრნია თუ ხერხიმალი მქონდა გაფუჭებული.

მაგალითების გამრავლება მეტია. იმ დროს ჩვენსა და იულიას შორის დაწყებული დამოკიდებულება გაგრძელდა თუთხმეტი წლის განმავლობაში. მე ისეთივე სარწმუნოთ მიმაჩნია იულიას მყოფობა საიქიოს, როგორც ჩემი ცოლის ან ჩემი დის მყოფობა ამ ქვეყნად.

სანმანიანი.

(შემდეგი იქნება).

კვირიდან კვირობამდე.

ე-დ სამდვდელო გიორგიმ სამტრედიის საბლაგოჩინო ოდქი შემოიარა რეკომენდაციით და 13-ს ამ თვეს ქუთაისში დაბრუნდა.

—

იმერეთის წმ. გიორგის სარწმუნოებრივ განმანათლებელ ძმობის წევრებად ჩაეწერენ და ხვედრი საწევრო ფულიც შემოიტანეს, მდვდ. გიორგი დიპარტელიანი და გულგეთიდი (ფსევდონიმია).

—

როგორც გაზ. „დროებაში“ ატყობინებენ ქობულეთიდგან, მდინარე ჭოროხის მახლობლათ ამ დღეებში სამოსახლო და სახნავსათესი ადგილები უნდა მიუზომონ ახლად გადმოსახლებულ რუსთა ერთ პარტიას. ჩვენები კი გაიძახიან ქართველ გლეხებს მიწა არა აქვსთო და უსვენ მათ მემამულეებს!..

—

ქუთაისში წყლის გამოყვანის საქმემ კიდევ მიიძინა. არაფერი ბაიბური არ ისმის. საზოგადოება მეტად შეწუხებულია ამ გარემოებით და სასოწარკვეთილებას ეძლევა აწინდელი უპრავის შემადგენელობის საქმიანობის უნარის შესახებ.

—

ამ დღეებში ქუთაისში მოედიან კავკასიის სამოსწავლო ოდქის მზრუნველს, რომელიც ექსკურსიით მოდის. ექსკურსიაში მონაწილეობას დებულობენ ტფილისის გიმნაზიის მოსწავლეები და მასწავლებლები რიცხვით 600 კაცზე მეტი. ესეთი ექსკურსია არა ჩვეულებრივია ჩვენში და უნდა ვიფიქროთ მიზანიც არა ჩვეულებრივი ექნება.

—

საპარქიო სასწავლებლის მოწაფე ქალებმა და მათმა მასწავლებლებმა მოიარეს ექსკურსიით ბათუმი. უნდა ვიფიქროთ, არც ეს ექსკურსია ჩაივლიდა უმნიშვნელოდ!...

—

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „სახელმძღვანელო ძველ და ახალ აღთქმის წიგნთა შესასწავლად“, შედგენილი ა. ბ—სის მიერ. ეს სახელმძღვანელო პირველ ცდად უნდა ჩაითვალოს ქართულ ენაზე. წიგნი დაკვირვებითაა შედგენილი. ერთ ნაკლად ამ წიგნისა უნდა ჩაითვალოს ის, რომ ახალ აღთქმის ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული, ვიდრე ძველს. მაშინ როდესაც პირველს 25 გვერდი უკავია, მეორეს 136 გვ. უკავია. წიგნი შედარებით იაფია: ღირს ექვსი შაური. გამოწერა შეიძლება მწყემსის რედაქციისაგან. ეს წიგნი ჩვენი შეხედულებით ძრიელ საჭიროა ახალ სამდვდელო კანდიდატთათვის.

—

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჯელიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

გამოვიდა ახალი
წიგნაკები

გამოტეა იმ. ეპარქ. წმ. გიორგის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ „ძმობისა“.

№ 1

სწამთ თუ არა მეცნიერებს

ღვთის არსებობა?

№ 2

წიგნი წიგნთა.

(სვეტლოვიდან)

თარგმ. ნაცარყანელისა.

თითო წიგნაკის ფასი ერთი შაური.

ვამზადებ
სამღვდელო და საღიაკონო
საგნებში,

იგრეთვე სამასწავლებლო ეგზამენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, ეპ'ბაკოვის ქუჩა, № 17.

Типографія Кутаисскаго религіозно-просвѣтительнаго «братства» Тифлисская, домъ Кирищева.